

N428 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების  
ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე**

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს თანდართული „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების ტექნიკური რეგლამენტი“.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის №80/ნ ბრძანება.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია  
საქართველოს მთავრობის  
2013 წლის 31 დეკემბრის  
№ 428 დადგენილებით

## საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების ტექნიკური რეგლამენტი

### მუხლი 1

1. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირებისადმი.

2. წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება შემდეგ პროდუქციაზე:

ა) ადამიანთა და ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ და სამკურნალო პრეპარატებზე მზა სახით;

ბ) კოსმეტიკურ პროდუქციაზე;

გ) ქიმიურ ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება სასწავლო-სამეცნიერო მიზნით იმ ოდენობით, რომელიც არ ახდენს მავნე ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე;

დ) მიკროორგანიზმებსა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე;

ე) ნარევებსა და ნივთიერებებზე ნარჩენების სახით;

ვ) საკვებ დანამატებზე;

ზ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებზე (გარდა მათი ერთიანი სახელმწიფო რეესტრისა);

თ) რადიაქტიურ ნივთიერებებსა და მასალებზე;

ი) საშიშ სამრეწველო ნარჩენებზე;

კ) პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებზე.

3. მოთხოვნები საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირებისადმი გათვალისწინებული უნდა იქნას ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროს მარეგულირებელ სახელმწიფო სტანდარტებსა და ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებში.

4. მოთხოვნები საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირებისადმი ეფუძნება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

### მუხლი 2

ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებული ცნებები ნიშნავს:

- ა) „საშიშროება“ – გამოყენების რეალურ პირობებში ქიმიური ნივთიერების მავნე ზემოქმედების წარმოქმნის ალბათობა;
- ბ) „რისკი“ – საშიში ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების არასასურველი ეფექტების მოსალოდნელი სიხშირე;
- გ) „რისკის ფრაზა(ები) (R-phrases)“ – ინფორმაცია ნივთიერების სპეციფიკური რისკის შესახებ. გამოისახება R-ით და მის შემდგომი ციფრების სერიით;
- დ) „უსაფრთხოების ფრაზა(ები) (S-phrases)“ – რეკომენდაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ. გამოისახება S-ით და მის შემდგომი ციფრების სერიით;
- ე) IUPAC – თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირი;
- ვ) CAS № – ქიმიური ნივთიერების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ზ) ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

### მუხლი 3

1. საშიში ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირებისა და ნიშანდების მიზანია კონტაქტში მყოფი პირებისა და მომხმარებლის ინფორმირება ჯანმრთელობასა და გარემოზე ამ ნივთიერებების მავნე ზემოქმედების შესახებ, უსაფრთხო გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. საშიშ ქიმიურ ნივთიერებასთან უსაფრთხო მოპყრობის მიზნით და მისი სამომხმარებლო თვისებების შესანარჩუნებლად, ნივთიერების/პრეპარატის სახელმწიფო ექსპერტიზაზე წარდგენისა და სარეგისტრაციო განაცხადის შეტანის წინ შემქმნელ/მწარმოებლის მიერ ხდება საშიშროების მიხედვით კლასიფიცირება, აგრეთვე ნიშნისა და ეტიკეტის ნიმუშების პროექტის შემუშავება.

3. საშიშროების კლასიფიკაციის თითოეული კატეგორია გამოისახება აბრევიატურით, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი რისკის ფრაზა ან ფრაზები.

4. თუ ნივთიერება კლასიფიცირდა, როგორც აალებადი, მასენსიბილიზირებელი და საშიში გარემოსათვის, გამოიყენება მხოლოდ რისკის ფრაზა.

5. თუ ნივთიერება კლასიფიცირდა როგორც კანცეროგენული, მუტაგენური ან ტოქსიკური გამოიყენება შესაბამისი აბრევიატურა კატეგორიის (მაგ.,1,2,3) მითითებით.

6. საშიშროების კლასიფიკაციის კატეგორიები გამოისახება შემდეგი აბრევიატურით:

- ა) ფეთქებადი: E
- ბ) დამყანგავი: O
- გ) განსაკუთრებულად აალებადი: F+
- დ) მაღალაალებადი: F
- ე) აალებადი: R10
- ვ) ძლიერტოქსიკური: T+
- ზ) ტოქსიკური: T
- თ) მავნე: Xn
- ი) კოროზიული: C
- კ) გამაღიზიანებელი: Xi
- ლ) მასენსიბილიზირებელი: R42 და/ან R43
- მ) კანცეროგენული: Carc. Cat.<sup>(1)</sup>
- ნ) მუტაგენური: Muta. Cat.<sup>(1)</sup>

ო) ტოქსიკური რეპროდუქციისათვის: Repr. Cat. <sup>(1)</sup>

პ) საშიში გარემოსათვის: N ან/და R52, R53, R59.

7. საშიშროების კლასიფიკაციის კატეგორიები გამოისახება დასურათებული სიმბოლოებით (დანართი 3), რისკის R-ფრაზებით (დანართი 1) და უსაფრთხოების S-ფრაზებით (დანართი 2).

8. მომხმარებელი, რომელიც ახორციელებს საშიში ქიმიური ნივთიერების გამოყენებას, ვალდებულია უზრუნველყოს ტარაზე ეტიკეტისა და ნიშნის შენარჩუნება.

#### მუხლი 4

ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ნივთიერებისათვის – სავაჭრო სახელწოდება, ქიმიური სახელწოდება IUPAC- ის მიხედვით გავრცელებული სინონიმები და CAS-ის ნომერი;

ბ) პრეპარატისათვის – სავაჭრო სახელწოდება, შემადგენელი ნივთიერებების ქიმიური სახელწოდებები IUPAC-ის მიხედვით, CAS-ის ნომრები და კონცენტრაციები;

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი;

დ) გამოყენების სფერო;

ე) სრული ინფორმაცია ნივთიერების/პრეპარატის მწარმოებლის, იმპორტიორის ან დისტრიბუტორის შესახებ: სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი;

ვ) დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, პარტიის ან სერიის ნომერი, შენახვის პირობები, ნეტო, მასა;

ზ) საშიშროების შესაბამისი კლასიფიკაციის სიმბოლოები და ნიშნები;

თ) სპეციფიკური საშიშროების აღმნიშვნელი რისკის R- ფრაზები;

ი) უსაფრთხოების ღონისძიებების აღმნიშვნელი S-ფრაზები;

კ) ინფორმაცია პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ.

#### მუხლი 5.

1. ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია უნდა იყოს შესრულებული:

ა) ქვეყნის შიგნით მოსახმარებელი საშიში ქიმიური ნივთიერებებისათვის – ქართულად;

ბ) საექსპორტო ქიმიური ნივთიერებებისათვის რამდენიმე უცხო ენაზე (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური და სხვ.);

გ) წარწერა უნდა იყოს ადვილად გასაგები გადამზიდველისა და პროფესიული მომხმარებლისათვის.

2. ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს შესაფუთი ტარის ან მასალის მეორადი გამოყენების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე რეკომენდაციები მის უტილიზაციასა და გაუვნებლებაზე.

3. ეტიკეტი მყარად უნდა დამაგრდეს შესაფუთ ტარაზე ან მასალაზე ქიმიური ნივთიერების შეფუთვისთანავე.

4. ეტიკეტის ზომები განისაზღვრება ტარის მოცულობის შესაბამისად. ეტიკეტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 3 ლიტრამდე მოცულობის შემთხვევაში – 52X74 მმ;

ბ) 3 ლიტრზე მეტი და არაუმეტეს 50 ლიტრი მოცულობის შემთხვევაში – 105X148 მმ;

გ) 50 ლიტრზე მეტი და არა უმეტეს 500 ლიტრი მოცულობის შემთხვევაში – 148X210მმ.

5. თითოეულმა სიმბოლომ ეტიკეტზე უნდა დაიკავოს ტარის ზედაპირის 1/10 ნაწილი და ამავე დროს არ უნდა იყოს 1 სმ-ზე ნაკლები.

6. საშიშროების სიმბოლოების გამოსახვა უნდა ხდებოდეს დანართი 3-ის შესაბამისად. თუ საშიშროება აღინიშნება ერთზე მეტი სიმბოლოთი, მაშინ ეტიკეტზე:

ა) აუცილებელი E სიმბოლოს ჩვენებისას F, F<sup>+</sup> და O სიმბოლოების ჩვენება საჭირო არ არის;

ბ) აუცილებელი T<sup>+</sup> ან T სიმბოლოს ჩვენებისას X<sub>n</sub> , X<sub>i</sub> , C სიმბოლოების ჩვენება საჭირო არ არის;

გ) აუცილებელი C სიმბოლოს ჩვენებისას X<sub>n</sub> , X<sub>i</sub> სიმბოლოების ჩვენება საჭირო არ არის;

დ) უცილებელი X<sub>n</sub>, სიმბოლოს ჩვენებისას X<sub>i</sub> სიმბოლოს ჩვენება საჭირო არ არის.

7. სიმბოლოები უნდა ჩაიხატოს კვადრატში შავად, ნარინჯისფერ-ყვითელ ფონზე.

8. ეტიკეტისათვის რისკის R – ფრაზების შერჩევა ხდება საშიშროების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი 1). რისკის აღსაწერად გამოიყენება მაქსიმუმ ექვსი ფრაზა. შერეული რისკის ფრაზები გამოიყენება აუცილებლობის შემთხვევაში. თუ ნივთიერება ხასიათდება საშიშროების რამდენიმე კატეგორიით სტანდარტულმა ფრაზებმა უნდა მოიცვას ყველა მათგანი.

9. ეტიკეტისათვის უსაფრთხოების S–ფრაზების შერჩევა ხდება რისკის ფრაზების შესაბამისად (დანართი 2). უსაფრთხოების ღონისძიებების ფორმირებისათვის, როგორც წესი, საკმარისია მაქსიმუმ ექვსი S -ფრაზა.

## მუხლი 6.

1. ქიმიური ნივთიერების ტრანსპორტირების შემთხვევაში სატრანსპორტო ტარის ეტიკეტი უნდა მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას სატრანსპორტო ტარაში მოთავსებული შეფუთული ტარის ადგილების რაოდენობის შესახებ, თითოეული ადგილის ნეტო და ბრუტო მასას, აღნიშნას ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესახებ.

2. თუ პრაქტიკულად შეუძლებელია საშიში ქიმიური ნივთიერების ტარის ეტიკეტირება და ნიშანდება ტარის ზომების ან შეფუთვის ხასიათის გამო, შესაბამისი ინფორმაცია უნდა აისახოს თანდართულ დოკუმენტაციაში.

3. მოთხოვნები ნიშანდებისადმი მოიცავს:

ა) ნიშნები ეტიკეტზე უნდა ასახავდეს ზუსტ ინფორმაციას საშიში ქიმიური ნივთიერების შესახებ;

ბ) ეტიკეტი უნდა იყოს ტარაზე მყარად დამაგრებული. მისი ზომა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე წესების მე-5 მუხლის 4-პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წარწერა უნდა იყოს მკაფიო და ადვილად გასაგები;

გ) ეტიკეტები მათზე გამოსახული ნიშნებითა და სიმბოლოებით უნდა იყოს ერთგვაროვანი, გამოყენებული ფერების ჩათვლით.

*დანართი 1*

რისკის R –ფრაზები

R <sub>1</sub>	ფეთქებადია მშრალ მდგომარეობაში;
----------------	---------------------------------

R2	დარტყმა, ხახუნი, სროლა ან აალების სხვა წყაროები წარმოქმნიან აფეთქების რისკს;
R3	დარტყმა, ხახუნი, სროლა ან აალების სხვა წყაროები წარმოქმნიან აფეთქების განსაკუთრებულ რისკს;
R4	წარმოქმნის მეტად მგრძობიარე ფეთქებად მეტალურ ნაერთებს;
R5	ფეთქებადია გათბობისას;
R6	ფეთქებადია ჰაერთან შეხებისას ან შეხების გარეშე;
R7	შიდღება გამოიწვიოს ხანძარი;
R8	შიდღება გამოიწვიოს ხანძარი საწვავ მასალასთან შეხებისას;
R9	ფეთქებადია საწვავთან შერევისას;
R10	აალებადი;
R11	ძლიერ აალებადი;
R12	უკიდურესად აალებადი;
R13	გაუქმებულია
R14	აგრესიულად რეაგირებს წყალთან;
R15	წყალთან შეხებისას გამოიყოფა განსაკუთრებით აალებადი აირები;
R16	ფეთქებადია დამჟანგავებთან შერევისას;
R17	ჰაერში სპონტანურად აალებადია;
R18	გამოყენებისას შიდღება წარმოიქმნას ჰაერისა და ორთქლის აალებადი/ფეთქებადი ნარევი;
R19	შიდღება წარმოიქმნას ფეთქებადი ზეჟანგები;
R20	საშიშია ჩასუნთქვისას;
R21	საშიშია კანზე მოხვედრისას;
R22	საშიშია გადაყლაპვისას;
R23	ტოქსიკურია ჩასუნთქვისას;
R24	ტოქსიკურია კანზე მოხვედრისას;
R25	ტოქსიკურია გადაყლაპვისას;
R26	ტოქსიკურია ჩასუნთქვისას;
R27	ძლიერ ტოქსიკურია კანზე მოხვედრისას;
R28	ძლიერ ტოქსიკურია კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას;
R29	წყალთან შეხებისას გამოიყოფა ტოქსიკური აირები;
R30	გამოყენებისას შიდღება გახდეს ძლიერ აალებადი;
R31	მჟავებთან შეხებისას გამოიყოფა ტოქსიკური აირები;
R32	მჟავებთან შეხებისას გამოიყოფა ძლიერ ტოქსიკური აირები;
R33	კუმულაციური ეფექტის საშიშროება;
R34	იწვევს დამწვრობას;
R35	იწვევს მძიმე დამწვრობას;
R36	იწვევს თვალების გაღიზიანებას;
R37	იწვევს სასუნთქი გზების გაღიზიანებას;
R38	იწვევს კანის გაღიზიანებას;
R39	ძალიან სერიოზული შეუქცევადი ეფექტების საშიშროება;
R40	მონაცემები კანცეროგენული ეფექტის შესახებ შეზღუდულია;
R41	თვალების დაზიანების სერიოზული რისკი;
R42	ჩასუნთქვისას შიდღება გამოიწვიოს სენსიბილიზაცია;
R43	კანზე მოხვედრისას შიდღება გამოიწვიოს სენსიბილიზაცია;
R44	დახურულ სივრცეში გახურებისას წარმოიქმნება აფეთქების რისკი;
R45	იწვევს კიბოს განვითარებას;
R46	შიდღება გამოიწვიოს მემკვიდრეობითი გენეტიკური დაზიანება;
R47	ხანგრძლივი ზემოქმედებისას ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების საშიშროებაა;
R49	ჩასუნთქვისას შესაძლებელია კიბოს განვითარება;
R50	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის;
R51	ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის;
R52	მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის;
R53	შიდღება გამოიწვიოს მავნე შორეული შედეგები;
R54	ტოქსიკურია მცენარეებისათვის;
R55	ტოქსიკურია ცხოველებისათვის;
R56	ტოქსიკურია ნიადაგის ორგანიზმებისათვის;
R57	ტოქსიკურია ფუტკრებისათვის;
R58	შიდღება გამოიწვიოს გარემოში შორეული უარყოფითი ეფექტები;
R59	საშიშია ოზონის შრისათვის;
R60	აზიანებს განაყოფიერების ფუნქციას;

R61	შიდლება გამოიწვიოს ემბრიოტოქსიკური ეფექტი;
R62	განაყოფიერების ფუნქციის დაზიანების რისკი;
R63	ემბრიოტოქსიკური ეფექტის წარმოქმნის შესაძლო რისკი;
R64	შიდლება დააზიანოს ძუძუმწოვარი ბავშვი;
R65	სამშობა: შიდლება გამოიწვიოს ფილტვების დაზიანება;
R66	შიდლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დასკდომა;
R67	ორთქლმა შიდლება გამოიწვიოს თავბრუ და ძილიანობა;
R68	შეუქცევადი ეფექტების განვითარების შესაძლო რისკი;

## დანართი 2

### უსაფრთხოების S-ფრაზები

S1	შინახეთ ჩაკეტილ სათავსში;
S2	შინახეთ ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილზე;
S3	შინახეთ გრილ ადგილზე;
S4	შინახეთ შორს დასახლებული ადგილიდან;
S5	შინახეთ ნივთიერება სითხის (სითხის სახეს განსაზღვრავს ნივთიერების დამამზადებელი). . . . ქვეშ;
S6	შინახეთ ნივთიერება აირის (აირის სახეს განსაზღვრავს ნივთიერების დამამზადებელი). . . . ქვეშ;
S7	შინახეთ ნივთიერება ჰერმეტიკულ ტარაში;
S8	შინახეთ ტარა მშრალად;
S9	შინახეთ ტარა კარგად განიავებად ადგილზე;
S12	არ შეინახოთ ტარა დალუქული;
S13	შინახეთ შორს საკვები პროდუქტების, სპირტიანი სასმელებისა და ცხოველების საკვებისაგან;
S14	შინახეთ შორს მასალებისაგან (შეუთავსებელ მასალებს განსაზღვრავს ნივთიერების დამამზადებელი);
S15	შინახეთ შორს სითბოსაგან;
S16	შინახეთ შორს აალების წყაროებისაგან.   თამბაქოს მოწევა აკრძალულია;
S17	შინახეთ შორს საწვავი მასალებისაგან;
S18	ტარა აიღეთ და გახსენით ფრთხილად;
S19	გაუქმებულია
S20	გამოყენებისას აკრძალულია საკვების და სასმელის მიღება;
S21	გამოყენებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა;
S22	არ შეისუნთქოთ მტვერი;
S23	არ შეისუნთქოთ აირი/ორთქლი/შხეფები (შესატყვის ფორმულირებას განისაზღვრავს ნივთიერების დამამზადებელი);
S24	დაიცავით კანი;
S25	დაიცავით თვალები;
S26	თვალში მოხვედრისას, ჩამორეცხეთ დიდი რაოდენობა წყლით და მიმართეთ ექიმს;
S27	სასწრაფოდ მოიშორეთ დაბინძურებული ტანსაცმელი;
S28	კანზე მოხვედრისას ჩამორეცხეთ დიდი რაოდენობა . . . (განსაზღვრავს ნივთიერების დამამზადებელი);
S29	ტარას ბოლომდე ნუ დაცლით;
S30	არ დაამატოთ წყალი;
S31	გაუქმებულია
S32	გაუქმებულია
S33	გადმოტვირთვისას მიიღეთ წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები;
S34	გაუქმებულია
S35	ეს მასალა და მისი კონტეინერი უნდა განთავსდეს უსაფრთხოოდ;
S36	ჩაიცვით შესატყვისი დამცავი ტანსაცმელი;
S37	იხმარეთ შესატყვისი დამცავი ხელთათმანები;
S38	არასაკმარისი ვენტილაციისას იხმარეთ შესატყვისი სასუნთქი მოწყობილობა;
S39	იხმარეთ თვალების/ სახის დამცავი საშუალებები;
S40	დაბინძურებული სათავსი (იატაკი და ყველა ობიექტი) უნდა დასუფთავდეს . . . . . (დასუფთავების საშუალებას განსაზღვრავს ნივთიერების დამამზადებელი);
S41	აფეთქების ან ხანძრის შემთხვევაში არ შეისუნთქოთ ორთქლი;
S42	ნივთიერების გამოფრქვევის შემთხვევაში იხმარეთ შესატყვისი სასუნთქი მოწყობილობა . . . . . (სასუნთქი მოწყობილობას განსაზღვრავს დამამზადებელი);
S43	ხანძრის შემთხვევაში გამოიყენეთ ----- (მიუთითეთ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის ტიპი. თუ

	წყალი ზრდის რისკს, არ დაუმატოთ. არასოდეს არ გამოიყენოთ წყალი;
S44	გაუქმებულია
S45	უბედური შემთხვევის დროს, ან თუ თქვენ თავს ცუდად იგრძნობთ, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს (აჩვენეთ ეტიკეტი);
S46	ჩაყლაპვისას, მიმართეთ ექიმს და დაუყოვნებლივ აჩვენეთ ტარა და ეტიკეტი;
S47	დაიცავით ტემპერატურული რეჟიმი, რომელიც არ აღემატება . . . . . C <sup>0</sup> (ტემპერატურას განსაზღვრავს დამამზადებელი);
S48	შეინახეთ სველ მგომარეობაში ----- (შესაბამის მასალას განსაზღვრავს დამამზადებელი);
S49	შეინახეთ მხოლოდ პირველად ტარაში;
S50	ნუ შეურევთ . . . . . (განსაზღვრავს დამამზადებელი);
S51	გამოიყენება მხოლოდ კარგად განთავსებულ სათავსში;
S52	არ არის რეკომენდებული შენობის შიგნით დიდ ფართობზე გამოყენება;
S53	მოერიდეთ ზემოქმედებას. გამოყენების წინ გაეცანით სპეციალურ ინსტრუქციას. (გამოიყენება კანცეროგენული, მუტაგენური და რეპროდუქციისათვის ტოქსიკური ნივთიერებებისა და პრეპარატებისათვის);
S54	გაუქმებულია
S55	გაუქმებულია
S56	განათავსეთ ეს მასალა და მისი ტარა საშიში ქიმიური ნივთიერებების ან ნარჩენების შეგროვების პუნქტებში;
S57	გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება შესაბამისი ტარა;
S58	გაუქმებულია
S59	აღდგენისა და ხელახალი გადამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ დამამზადებელს/მომწოდებელს;
S60	ეს ნივთიერება და მისი ტარა უნდა განთავსდეს, როგორც საშიში ნარჩენები;
S61	ნივთიერება არ უნდა მოხვდეს გარემოში. ისარგებლეთ საინფორმაციო ფურცლის მონაცემებით უსაფრთხოების შესახებ;
S62	კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ ტარა ან ეტიკეტი
S63	ჩასუნთქვისას, დაზარალებული სასწრაფოდ გამოიყვანეთ სუფთა ჰაერზე და ამყოფეთ მოსვენებულ მდგომარეობაში;
S64	ჩაყლაპვისას, საჭიროა პირში წყლის გამოვლება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას გრძნობა არა აქვს დაკარგული);



დანართი 3.

საშიშროების სტანდარტული სიმბოლოები

E  
ფეთქებადი




O  
ღამუანგავი



F  
ქლიერ ააღებადი




T  
ტოქსიკური



C  
კოროზიული



Xn  
მაჰვი




F+  
უკიდურესად ააღებადი



T+  
ქლიერ ტოქსიკური



Xi  
გამაღიწინებელი



N  
გარემოსა ჰვის საშიში

